

## ნიადაგის ასაკი: წარსული, აწმყო, მომავალი

ლია მაჭავარიანი

ელ-ფოსტა: [lia.matchavariani@tsu.ge](mailto:lia.matchavariani@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ მე-3 კორპ., თბილისი, 0179, საქართველო

დრო ნიადაგწარმოქმნის უმთავრესი ფაქტორია. ნიადაგს, ისევე, როგორც ყველა ბუნებრივ-ისტორიულ სხეულს, გააჩნია გარკვეული ასაკი. მეცნიერებაში არსებობს სამართლიანი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ნიადაგი – ლანდშაფტის სარკეა“, რომელიც ასახავს თანამედროვე ეკოლოგიურ პირობებს, რომელშიც ისინი იმყოფებიან. ეს განსაზღვრება ითვლება ნიადაგმცოდნეობის ძირითად პოსტულატად. მაგრამ, ნიადაგის პროფილი ყოველთვის ადეკვატური არ არის თანამედროვე პირობებისა და ყოველთვის სარკისებურად არ ასახავს მხოლოდ არსებულ გარემოს. ზოგჯერ ისინი ინარჩუნებენ თვისებებს განვითარების წინამორბედი ეტაპებისაგან, რომლებშიც ისინი ადრე ვითარდებოდნენ. ამდენად, ნიადაგი გვესახება არა მხოლოდ როგორც „ლანდშაფტის სარკე“, არამედ „ლანდშაფტის მესიერებაც“, რომელიც ინარჩუნებს პალეოგეოგრაფიულ, რელიქტურ თვისებებს, „იმახსოვრებს“ ყველა მოვლენას ლანდშაფტის ცხოვრებაში [1].

ნიადაგები იყოფიან მონოგენეტურ და პოლიგენეტურად. მონოგენეტურია ნიადაგი, თუ მისი პროფილი ერთი ასაკით ხასიათდება, ჰორიზონტები სინგენეტურია და ფორმირებულია ერთად და ერთდროულად; ხოლო თუ ფენების ასაკი განსხვავებულია – ნიადაგი პოლიგენეტურია [Paleopedology Glossary].

მეოთხეულ პერიოდში, როდესაც დედამიწა აქტიური გარდაქმნების პერიოდს განიცდიდა, ხმელეთის მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო შეენარჩუნებინა ყოფილი ნიადაგური საფარი. ძველი ნიადაგები ირღვეოდა, ირეცხებოდა, იმარხებოდა. ახალი ნიადაგების წარმოშობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჰოლოცენში. თანამედროვე ნიადაგების შეფასებისას გამოიყოფა რამდენიმე მაჩვენებელი: ნიადაგური საფარის ასაკი, კონკრეტული პროფილის ასაკი, ნიადაგური ჰორიზონტის ასაკი და ა.შ.

ნიადაგს გააჩნია თვისებათა სამი კატეგორია: ლითოგენური (დედაქანიდან შთენილი), რელიქტური პედოგენური (პედოგენუზის წინა ეტაპებიდან შთენილი) და თანამედროვე პედოგენური (გარემოს არსებური პირობებისას ფორმირებული). ტრადიციულად „პალეოსოლები“ განიხილება როგორც პალეოეკოლოგიური და პალეოკლიმატური ცვლილებების საუკეთესო „აღმწერები“.

ნიადაგში თანამედროვე და რელიქტური თვისებების გამოვლენის ერთ-ერთ ყველაზე ინფორმაციულ საშუალებას წარმოადგენს მიკროპედოლოგიური კვლევა [3]. საქართველოს ნიადაგების მიკრომორფოლოგიური შესწავლის შედეგად დიაგნოსტირებულია ლითო- და პედორელიქტური მაჩვენებლები, გამოვლენილია პოლიგენეტური პროფილები, დადგენილია მათი ჰეტეროქრონულობა.

### ლიტერატურა

- [1] V. Targulyan, Soil Memory: General Approaches to Problem. *Soil Memory*. Moscow, LKI, 23-57 (2008).
- [2] A. Makeev, Paleo Soil Science: Condition and Prospects. *Eurasian Soil Science*, 4, 398-409 (2002).
- [3] L. Matchvariani, Time Factor in Soils of Georgia – Mirror or Memory of Landscapes? *Journal of Environmental Biology*, vol. 33, #2, 393-400 (2012).